სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო

51 ივანე ჯავახიშვილის ქუჩა
0102 თბილისი, საქართველო
1505
info@ssa.gov.ge

17 იანვარი 2025

SSA 2 25 00043069

Askgov.ge - ს ონლაინ პლატფორმის საშუალებით
შემოსული განცხადების პასუხად, ბატონ გიორგის
(ელ.ფოსტა: xxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxxx@xxxxxx.xx)

ბატონო გიორგი,

თქვენს მიერ AskGov.ge-ის პლატფორმის საშუალებით გამოგზავნილი თქვენი 2024 წლის 30 დეკემბრის N1382825 განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე გაცნობებთ, რომ საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 მარტის №262 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამა, დადგენილებით განსაზღვრული პირობების გარდა განსაზღვრავს პირობას, რომ მაძიებელი/ბენეფიციარი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე. აღნიშნული პროგრამის ბენეფიციარია ბავშვი (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში – ბავშვები), რომელიც არის **ბიოლოგიური დედის რიგით მესამე ან შემდეგი ცოცხლადშობილი შვილი.**

პროგრამა დღეისათვის ხორციელდება გურიის, იმერეთის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ქვემო ქართლის რეგიონებში და ქ. თბილისში. ფულადი დახმარება ინიშნება სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ (შემდგომში - სააგენტო) შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან (ბენეფიციარის 2 წლის ასაკის შესრულების თვის ჩათვლით) და შეადგენს: მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 200 ლარს, ხოლო სხვა დასახლებაში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის - 150 ლარს. ფულადი დახმარების მიღებაზე უფლება ენიჭება ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ ბიოლოგიურ დედას/ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ ბიოლოგიურ მამას/ბავშვთან ფაქტობრივად მცხოვრებ სხვა კანონიერ წარმომადგენელს.

აქვე გაცნობებთ, რომ **პირველ, მეორე, მესამე და ყოველ მომდევნო შვილზე ფულადი დახმარების** ბენეფიციარია ცოცხლადშობილი ბავშვი (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში - ბავშვები), რომლის ერთ-ერთი მშობელი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მინიჭებული აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი. ფულადი დახმარება ინიშნება სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ერთეულში, განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენის მომდევნო თვის პირველი რიცხვიდან. ბენეფიციარს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით, ერთი წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი პირველი ან მეორე შვილია და 200 ლარის ოდენობით, 2 წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი მე-3 ან მომდევნო შვილია. (მეორე და მესამე ტყუპის შემთხვევაში ერთ-ერთ ტყუპისცალს ენიშნება 100 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მეორეს - 200 ლარის ოდენობით 2 წლის განმავლობაში).

აქვე გაცნობებთ, რომ „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა-ის“ შესახებ, დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ ვებ-გვერდზე: ssa.moh.gov.ge;

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის
შემსრულებელი
ჯემალი დეკანოიძე